ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ორი ფოტოსურათი ჩვენს დღევანდელ მეტოქეზე — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურზე" მოგვითხრობს. მარცხენა სურათზე უფროსი მწვრთნელი ბილ ნიკოლსონია ალბექდილი, რომელიც თავისი გუნდის მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი თასებისა და პრიზების კოლექციას კიდევ ერთს უმატებს. ესაა ევროპის თასების მფლობელთა თასი, რომელიც „ტოტენჰემმა" 1963 წელს მოიპოვა, როცა ამ შეჯიბრების ფინალური მატჩი მოუგო მადრიდის „ატლეტიკოს" ანგარიშით 5:1.

მარჯვნივ ნიკოლსონს თავის ფეხბურთელებთან საუბრის დროს ხედავთ. ესენი არიან (მარცხნიდან): ფრენკ ხოული, ჯო კინეარი, ტერი ვენეიბლსი და პატ ჯენინგსი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 235 (5005)

1973 წ. 28 ნოემბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● ●

მატჩამდე 24 საათით ადრე

დღეს თბილისში დიდი ფეხბურთია: უეფა-ს თასის გათამაშების ერთ-ერთ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო" და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური". ინგლისელთა საყვარელ გუნდს ჩვენს დედაქალაქში ბევრი ჟურნალისტი და გულშემატკივარი ჩამოჰყვა. გუშინ „ლელოს" კორესპონდენტები თ. ჯაფარიძე და თ. სიმონიშვილი ეწვივნენ ინგლისელ სტუმრებს. ვბეჭდავთ მათს საუბარს.

• • •

ჩვენი ყურადღება თავდაპირველად გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა მიიპყრო. გამოვყავით სამი მათგანი და ყველას ერთნაირი შეკითხვებით მივმართეთ: **1. რა იცით თბილისის „დინამოს" შესახებ? 2. რას ფიქრობთ ხვალინდელ მატჩზე?**

აი რა გვიპასუხეს გულშემატკივრებმა:

ენტიკ ბრუკსი (ლონდონელი კლერკი).

1. თქვენს გუნდზე არაფერი გამიგია, თუმცა, როგორც აქ შევიტყვე, მას საკმაოდ მაღალი ადგილი უკავია საბჭოთა ფეხბურთში.

2. „ტოტენჰემი" გაიმარჯვებს ანგარიშით 2:1.

ჯონ ბოლი (ლონდონელი ტურისტი).

— 1. მართალი გითხრათ, თბილისის „დინამოს" არსებობა მხოლოდ მეოთხედფინალის კენჭისყრის შემდეგ გავიგე.

2. ჩემი აზრით, თბილისში ფრედ ვითამაშებთ, ლონდონში კი გავიმარჯვებთ.

როჯერ ლოუერი (ლონდონელი სტუდენტი).

1. თბილისის „დინამო" პირველად 1961 წელს ვნახე, როცა „ტოტენჰემის" წინააღმდეგ თამაშობდა. მაგრამ გარკვეული წარმოდგენა მასზე არა მაქვს, მაშინ პატარა ვიყავი.

2. მე მგონი, გაიმარჯვებენ თბილისელები. ანგარიში? — 2:0.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარი უფრო პროფესიული გამოდგა. ჟურნალისტები ფრთხილობდნენ, თუმცა აზრს საკმაოდ გარკვევით გამოთქვამდნენ.

პიტერ ბლეკკედი (გაზეთი „ივნინგ სტანდარდი").

თბილისის „დინამოზე" არაფერი მსმენია. ამბობენ, ჩვენებს გაუპირდებათ თამაშიო. მაგრამ მე მაინც იმედიანად ვარ და მჯერა, რომ „ტოტენჰემი" მიზანს მიაღწევს. ანგარიში? 1:0 „მამლების" სასარგებლოდ.

ჯონ კენესი (გაზეთი „ტაიმსი").

ჩემი აზრით, პიტერი ზედმეტად ოპტიმისტურ ხასიათზეა, მასავიწყდება, რომ „ტოტენჰემი" ის აღარ არის, რაც იყო. ჩივერსის, პიტერსისა და ინგლენდისგან მხოლოდ სახელებიღა დარჩა. თბილისელთა თამაში მახსოვს, როცა ისინი ლონდონში „ტოტენჰემის" მეტოქეები იყვნენ. მაშინდელი მატჩის შედეგის მიუხედავად, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს მეკარემ და მე-10 ნომერმა („დინამოელთა" კარს მაშინ ს. კოტრიკაძე იცავდა, მე-10 ნომრით კი ა. ღოღობერიძე თამაშობდა. რედ.). დარწმუნებული ვარ, ხვალინდელ მატჩს მოიგებს „დინამო". თანაც ანგარიში 2:0-ზე ნაკლები არ იქნება. ჩვენ ვიცით, რომ თბილისელთა რიგებში თამაშობენ საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები: ძოძუაშვილი და ხურცილავა. რაც შეეხება ასათიანს, ჯერ კიდევ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატიდან ვიცნობ. უაღრესად ტექნიკური და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ჭკვიანი მოთამაშეა. აი, სწორედ ამ ტიპის ფეხბურთელი აკლია „ტოტენჰემს".

„ტოტენჰემი" თბილისში გამთენიას ჩამოვიდა, მოთამაშეები და მწვრთნელები დაღლილები იყვნენ და ამიტომაც მათთან საუბარი ხანმოკლე გამოდგა. და მაინც, მათ ზოგიერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს.

ბილ ნიკოლსონი (გუნდის მთავარი მწვრთნელი).

მართალი გითხრათ, არ მესიამოვნა, როცა შევიტყვე, რომ საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ მოგვიხდებოდა თამაში. ჩემი შეშფოთება ძირითადად უამინდობის შიშით იყო გამოწვეული. მოსკოვში ნამდვილი რუსული ზამთარი დაგვხვდა და ამან კიდევ უფრო დაგვაფიქრა. წარმოიდგინეთ ჩვენი სიხარული, როცა ამ დილით თბილისში მზე დავინახეთ, ნამდვილი საფეხბურთო ამინდია.

დინამოელებთან ჩემი პირველი ნაცნობობა ბრიტანეთის კუნძულებზე შედგა. თუმცა ეს მატჩი ბუნდოვნად მახსოვს. შედეგის მიუხედავად, თქვენმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მაშინდელი „ტოტენჰემი" ჩემთვის დღესაც იდეალია. რა შეიძლება დღევანდელი გუნდის შესახებ ვთქვა? იგი ერთობ უთანაბროდ თამაშობს, თუმცაღა ადგილი, რომელიც დღეს ინგლისის ჩემპიონატში უკავია, სრულიადაც არ განსაზღვრავს მის რეალურ ძალას. ცოტა ბედიც რომ გვწყალობდეს, ალბათ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ... გუნდში ყველაფერი რიგზეა, ყველა მოთამაშე ჩინებულ ფორმაშია.

ედი ბეილი (გუნდის მეორე მწვრთნელი).

რა შეიძლება თბილისის „დინამოს" შესახებ ითქვას? იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ ამაში? ერთი რამ უდავოა: საქმე გვაქვს ძლიერ მოწინააღმდეგესთან. ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი მატჩი: ბურთი ხომ მრგვალია და ყოველგვარი შედეგია მოსალოდნელი.

მარტინ პიტერსი („ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების მოთამაშე).

„დინამოზე" კონკრეტული წარმოდგენა არა მაქვს. ვიცი მხოლოდ ერთი რამ: მისი ბოლო შეხვედრების შედეგები საკმაოდ შთამბეჭდავია.

მარტინ ჩივერსი („ტოტენჰემისა" და ინგლისის ნაკრების მოთამაშე).

„დინამო" ძლიერი გუნდი უნდა იყოს. ვიცი, რომ რამდენიმე მისი მოთამაშე საბჭოთა კავშირის ნაკრებში გამოდის, რომლის წინააღმდეგაც ამ ზაფხულს მომიხდა თამაში. ეს კი ბევრს ნიშნავს. სხვა მხრივ პროგნოზებისგან თავს ვიკავებ, მე, როგორც ფეხბურთელს, წინასწარმეტყველების უფლება არა მაქვს.

„ლელო" ინტერვიუ

◆ **მადრიდი**, 27 ნოემბერი. ჩინებული სტარტი აიღეს საბჭოთა დიდოსტატებმა აქ დაწყებულ დიდ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. ვ. ტუკმაკოვმა სძლია იუგოსლაველ ლ. ლიუბოევიჩს, ა. კარპოვმა — ესპანელ ა. პომარს. ი. ფურმანი ყაიმზე შეუთანხმდა იუგოსლაველ ა. პლანინცს. სხვა პარტიებიდან აღსანიშნავია ვ. ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) გამარჯვება ესპანელ ხუან მანუელ ბელონასთან, არგენტინელ ო. პანოსი — კუბელ ს. გარსიასთან.

ტურნირში, რომელიც 15 დეკემბრამდე გასტანს, გამოდის 16 მოჭადრაკე, რომელთაგან 12 დიდოსტატია.

რთულ, თოვლით დაფარულ ტრასაზე

ამას წინათ თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური ველოკროსი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი. ტრასა იყო რთული, თოვლით დაფარული. სამკილომეტრიანი წრე მოასპარეზეებს 10-ჯერ უნდა შემოევლოთ.

ველოკროსში წარმატებისთვის საჭიროა დიდი ფიზიკური ძალა, ტექნიკა, გამბედაობა და ნებისყოფა. ამ თვისებების გარეშე ძნელია გამარჯვება მოულოდნელობებით აღსავსე ტრასაზე, სადაც ყოველი თავდაღმართი თუ მოსახვევი ფათერაკს უმზადებს სპორტსმენებს.

სტარტიდან მონაწილეები ფეხით შეუყვნენ გრძელ და ციცაბო აღმართს. პირველი წრის შემდეგ დაწინაურდა ქუთაისელი ველოსიპედისტი ო. ქათამაძე. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ თბილისელები ი. რთველიაშვილი და ა. ცხოვრებაძე. თავდაღმართს ყველაზე უკეთ რუსთაველი ვ. კეხბა გადიოდა.

3 წრის შემდეგ ლიდერი დაეცა და რბოლას სათავეში ჩაუდგა ცხოვრებაძე. რთველიაშვილმა II ადგილზე გადაინაცვლა. თანდათან მოასპარეზეთა ჯგუფი მთელს ტრასაზე გაიფანტა. ამ მომენტში ლიდერობა ხელთ იგდო რთველიაშვილმა. ბოლო სამი წრე მან საუცხოოდ გაიარა და ბოლოს მოიგო კიდეც ასპარეზობა. გამარჯვებულის შედეგია 57.20. II ადგილი დაიკავა სოხუმელმა მ. კოშელიანმა — 57.51; III — კეხბამ — 58.12. ცხოვრებაძე ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე დაეცა და საბოლოო ჯამში VI ადგილს დასჯერდა.

გუნდური ადგილები განაწილდა ასე: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. ქუთაისი. ზემოაღნიშნული კოლექტივების გარდა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის, რუსთავის, ლაგოდეხის, ზესტაფონისა და ბოლნისის გუნდები.

ა. გუნია,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

•

თასი • მასპინძლებს ხვდათ

რუმინეთის ქალაქ კლუჟში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „კარპატის თასზე". ამ შეჯიბრებაში უძლიერესის წოდება დაისაკუთრა რუმინეთის პირველმა ნაკრებმა. ისე კი უნდა ითქვას, რომ რუმინელების მსგავსად იუგოსლაველებმაც 8 ქულა დააგროვეს ტურნირში. უფრო მეტიც, იუგოსლაველებმა ბოლო მატჩში სწორედ რუმინელები დაამარცხეს ანგარიშით 14:13 (11:7), მაგრამ მასპინძლებს გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ (101:81) და პირველობაც მათ ხვდათ. იუგოსლაველებმა მეტოქეების კარში გაიტანეს 98 გოლი, ხოლო თვითონ მიიღეს 88. საბჭოთა ხელბურთელები III ადგილს დასჯერდნენ. ბოლო მატჩში მათ გდრ-ის ნაკრები დაამარცხეს — 21:16 (9:10) და 6 ქულა დააგროვეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გდრ-ის, დანიის (3-3 ქულა) კოლექტივები და რუმინეთის მეორე ნაკრები (2 ქულა).

ქვირფასი საჩუქარი

მართლაც ძვირფასი საჩუქარი მიიღეს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა: მათ წინათ არ ჰქონდათ შესაფერისი სპორტდარბაზი. და აი, ახლახან მწყობრში ჩადგა სკოლის ახალი სამსართულიანი შენობა, რომელსაც ფართო და ნათელი სპორტდარბაზიც გააჩნია. დარბაზი აღჭურვილია საჭირო სპორტინვენტარით.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

[illegible]
გაზეთი
[illegible]
[illegible]
[illegible]... 19^{45}

წერილმა გვიხმო

კონფლიქტი „სიკეთის“ გამო

სიკეთის ფორმულა ჯერ არავის დაუდგენია. ალბათ ამიტომაც ერთი კრიტიკულად უყურებს იმას, რაც მეორეს შეიძლება კეთილ საქმედ მოეჩვენოს. კაცის ხასიათივით, სიკეთესაც თავისი განმასხვავებელი ნიშნები აქვს. გაუგებრობაც ხომ უმეტესად საწინააღმდეგო ხასიათების გამო იჩენს ხოლმე თავს. ამჯერად სწორედ ასეთ გაუგებრობაზე, უფრო კი „სიკეთის“ ნიადაგზე კონფლიქტში გადაზრდილ გაუგებრობაზე გვინდა გიამბოთ. მაინც, როგორი იყო ეს „სიკეთე“?

ჯერ თვით ადამიანებზე ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

ანტონ ჩარექიშვილი — თერჯოლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე. ეს კაცი 30 წელია კეთილსინდისიერად ემსახურება ფიზკულტურისა და სპორტის საქმეს. მისი უნარიანი ხელმძღვანელობით ბოლო წლებში შესამჩნევად გამოცოცხლდა მუშაობა თერჯოლის რაიონში. ძირითად სამუშაოსთან ერთად ჩარექიშვილი 25 წელიწადია სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარედაც მუშაობს საზოგადოებრივ საწყისებზე.

ჯემალ მაღლაკელიძე — ზესტაფონის მცხოვრები. 1973 წელს დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლა ფეხბურთის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო თერჯოლის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტულ სკოლაში მწვრთნელ-მასწავლებლად, ამჟამად დროებით უმუშევარია.

დროებით უმუშევარი! როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდა სპეციალისტმა თვე-ნახევარში ზურგი შეაქცია რაიონს, სადაც იგი მიიწვიეს? მოკამათე მხარეებს — ჩარექიშვილს და მაღლაკელიძეს უამრავი მიზეზის დასახელება შეუძლიათ. ისინი თავის სიმართლეს თავგამოდებით უმტკიცებენ ერთმანეთს, ეს — სიტყვიერად. ისე კი არსებობს დოკუმენტი, რომლითაც მაღლაკელიძე თერჯოლაში სამუშაოდ მიუწვევიათ. ჩვენთვის სწორედ ამ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა. ეს საბუთი პირადად ა. ჩარექიშვილის მიერაა გაცემული. მოთხოვნაში წერია, რომ ჯ. მაღლაკელიძე თერჯოლის კომიტეტში იგზავნება ფეხბურთელთა მწვრთნელად. მერე მიწვეული სპეციალისტი რატომღაც განათლების განყოფილებაში აღმოჩნდა მწვრთნელ-მასწავლებლად, არა შტატში, არამედ... ერთ ჯგუფთან.

ჯემალი გულმოდგინედ შეუდგა საქმეს. მაგრამ გადიოდა დღეები და მოსვენებას არ აძლევდა აზრი: ღირდა კი ცოლშვილიანი კაცისთვის ერთი რაიონიდან მეორეში ყოველდღიურად სიარული 28 მანეთად? იფიქრა, იფიქრა და მორიდებით მოითხოვა: ან შტატი მომეცით, ან ჯგუფები მომიმატეთ.

ჯემალს ეს თხოვნა წერილობით არ წარუდგენია, მაგრამ საქმის შემდგომი მსვლელობა იმის ლოგიკური დასკვნაა, რომ ჯემალის „მფარველებმა“ იწყინეს მწვრთნელის სითამამე. დახმარების ნაცვლად მათ ახალგაზრდა სპეციალისტს უბოდიშოდ შესთავაზეს ერთ რომელიღაც ორგანიზაციაში ღამის დარაჯად მუშაობა. იმ დღიდან ჯემალმა უნდობლად დაუწყო ყურება რაიონის ფიზკულტურის მესვეურებს.

აქა-იქ ბევრს ჩურჩულებდნენ კომიტეტის თავმჯდომარეზე. ჩარექიშვილზე უსაფუძვლო საჩივრებით უკვე მოღლილი იყვნენ და ახალი „კადრის“ გამოჩენას სიხარულით შეხვდნენ. ჯემალს დღენიადაგ ჩასჩიჩინებდნენ თავმჯდომარის ავკაცობას. ისიც კი უთხრეს, ლუკმას ჩარექიშვილი გაცლის პირიდან, ხომ ხედავ, ფეხბურთის ერთი ჯგუფი შენ წაგართვა და ჩხარში, თავის სოფელში გახსნაო. ჯემალმაც დაიჯერა. დაწერა კიდეც: ჩარექიშვილმა სპორტსკოლის ერთი ჯგუფი ჩხარში თვითნებურად გადაიტანაო.

მკითხველმა რომ ვითარება უფრო ნათლად წარმოიდგინოს, ვიტყვით: აღნიშნული ჯგუფისა და ჩხარის სკოლაში შეთავსებით მუშაობის გამო სხვა დროსაც რამდენიმეჯერ უჩივლეს ჩარექიშვილს. ისინი წერდნენ: უშველეთ, ჩარექიშვილს ამდენი სამუშაო აქვს და ძირითად საქმეს ველარ აუდისო (სხვათა შორის, „კეთილის მოსურნეები“ იმაზეც წუხდნენ, შეთავსებით „სპარტაკის“ თავმჯდომარედაც მუშაობსო) ერთ კომისიაში, რომელმაც ეს საკითხები ჯერ კიდევ წლეულს გაზაფხულზე შეისწავლა, ამ სტრიქონების ავტორიც იყო. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ჩარექიშვილის შეთავსებით მუშაობაში არავითარი დარღვევა არ არის, პირიქით, მთლიანი ხელფასი შეთავსებებიანად მისი სტაჟისა და ცენზის მიხედვით განაკვეთ-ნახევარსაც არ აღწევს.

მაგრამ მას, ვინც მაღლაკელიძეს ჩარექიშვილის ავკაცობას ჩასძახოდა, ამაზე არაფერი უთქვამს. არც ის უთქვამთ, რომ სპორტსკოლის ის ერთი ჯგუფი წლეულს კი არა, 10 წლის უკან გახსნეს ჩხარში (მწვრთნელად იმთავითვე ჩარექიშვილი დანიშნეს, რომელიც ფეხბურთის სპეციალისტია და იმხანად ჩხარის სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობდა).

— თქვენ ხომ მოითხოვეთ კომიტეტში მაღლაკელიძის მწვრთნელად მუშაობა? — ვკითხეთ ჩარექიშვილს.

— ვფიქრობდი, მაგრამ მერე აღარ გამოვიდა, — აქ თავმჯდომარემ უეცრად შეწყვიტა საუბარი, მიხვდა, რომ პასუხი ამომწურავი არ გამოდიოდა და გულწრფელად აღიარა: — მეხვეწა, დამეხმარეთ, თორემ, თუ მოთხოვნა არ იქნა, განაწილებით შორს გამგზავნიანო.

ჩარექიშვილი დაყაბულდა. დარწმუნებული იყო, რომ კეთილი საქმე გააკეთა, მოსალოდნელი შედეგები კი აღარ გაითვალისწინა. მოდა, ახლა მაღლაკელიძე კითხულობს: თუ ადგილი არ გქონდათ რაიონში, რაღად მომიწვიეთო?

მაღლაკელიძის წერილს რედაქციაში 17 მოსწავლე ფეხბურთელის მიერ ხელმოწერილი ბარათიც მოჰყვა. ჩანდა, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ. არ იკითხავთ, რას ედავებიან მოსწავლეები კომიტეტის თავმჯდომარეს? — „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის გზას გვიხშობსო (?!). მაგალითისთვის ერთი კონკრეტული ფაქტიც მოჰყავთ: ამ შემოდგომაზე რაიონის ცენტრალურ სტადიონზე სავარჯიშოდ არ შეგვიშვესო.

მე თერჯოლელ პედაგოგებთან ერთად ვესაუბრე ამ მოზარდებს. ზოგიერთი საერთოდ არ იცნობს ჩარექიშვილს. ვინც იცნობს, მეცადინეობის ჩაშლის დღეს თვალითაც არ უნახავს თავმჯდომარე. სტადიონზე ბავშვები დარაჯს არ შეუშვია, რადგან მინდორი ყოფილა ახალი მორწყული. ისმის კითხვა: რა არის ამ მოქმედებაში ასეთი საგანგაშო და უცნაური? რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი. მაგრამ იმავე ბოროტმა ენებმა ბავშვებს ამ მოქმედებაში კომიტეტის თავმჯდომარის „სუსტი მუშაობა“ და „სპორტის მტერი“ კაცის სახე დაანახვეს. უფრო მეტიც, იმასაც არ მორიდნენ, რომ მოსწავლეები სიცრუისთვის წაექეზებინათ.

ჩვენ შეგნებულად მოვერიდეთ მათი-ვინაობის დაზუსტებას, ვინც მოზარდების მოუმწიფებელი გონება თავისი ცუდი ზრახვებისთვის გამოიყენა. ჯერ ერთი, არ გვინდოდა კიდევ გაგვეღრმავებინა კონფლიქტი, რაც მთავარია, არ გვსუროდა იმ სათუთ გრძნობას შევხებოდით, რასაც ბავშვების თავმოყვარეობა ჰქვია. ახლა ისიც საკმარისია, რომ ბავშვებმა სიმართლე გაიგეს.

P.S. როგორც შევიტყვეთ, ანალოგიური წერილები ხელმძღვანელ ორგანოებშიც მიუღიათ. ასე რომ, ამ საკითხის გამო ჩვენ პირველნი არ ჩავსულვართ თერჯოლაში. ღირდა კი ერთი წინდაუხედავი ნაბიჯით გამოწვეული კონფლიქტი ამდენად?

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
თერჯოლის რაიონი.

„სპორტლოტოს“ დევიზი გამართლებულია

„ლელოს“ 1973 წლის 30 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი — „სად გაქრა „სპორტლოტოს“ ბილეთები?“ მკითხველები საყვედურს გამოთქვამდნენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში ამ ბოლო ხანს „სპორტლოტოს“ ბილეთები ძნელი საშოვნელიაო.

მართლაც, „სპორტლოტოს“ ბილეთები თბილისში შარშან თავისუფლად იყიდებოდა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იყო საქართველოში სპორტული ლატარიის დამკვიდრების პირველი წელი და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სააგენტოები გახსნილი არ გვქონდა. ამის გამო თბილისში ბილეთები საკმარისად იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც თამაშში ჩაებნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ზუგდიდის, გორის, გურჯაანის, ფოთის, ცხინვალისა და სხვა ქალაქების (ახლა მათი რიცხვი 35-ზე მეტია) მცხოვრებნი, ბილეთები დაგვაკლდა.

„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ ყველა ღონე იხმარა, რათა რესპუბლიკის მოსახლეობისთვის საკმარისი რაოდენობით მიეწოდებინა ბილეთები სხვა ზონალური სამმართველოების დახმარებით, სადაც ამა თუ იმ მიზეზით რეზერვი რჩებოდა. მაგალითად, ბილეთები შემოგვქონდა ერევნიდან, გორკიდან, სტავროპოლიდან, ვოლგოგრადიდან, გროზნოდან და ა. შ. მარტო პირველ შვიდ თვეში „სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალურმა სამმართველომ ამ გზით გეგმის ზევით 1.398.500 ბილეთი გაყიდა.

წლევანდელი წლის პირველი ნახევრის დამლევისთვის „სპორტლოტოს“ პოპულარობამ იმდენად იმატა, რომ ბილეთების ნაკლებობა შესამჩნევი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ სხვა რესპუბლიკაში თუ ქალაქშიც. ამასთან, ბოლო ხანს სახელმწიფო ნიშნების ფაბრიკას, რომელიც „სპორტლოტოს“ ბილეთებს ბეჭდავს, გარკვეული სირთულეები შეუქმნა სპორტული ლატარიის პოპულარობის ასეთმა ზრდამ (ამჟამად ყოველ ტირაჟში ბილეთების რიცხვი 15 მილიონს აღწევს), მით უმეტეს, რომ ეს ფაბრიკა სხვა უამრავ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაკვეთასაც ასრულებს. ამ მიზეზით, ზოგჯერ ბევრი სამმართველო ვერ ღებულობს ბილეთების გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას. მაგრამ საქართველოს ზონალური სამმართველო ბილეთებს თითქმის მუდამ გეგმის შესაბამისი რაოდენობით ღებულობდა. ბოლო ორ ტირაჟში ქვეყნის სამმართველოებმა ზემოხსენებული მიზეზით მიიღეს ბილეთების დაგეგმილი რაოდენობის მხოლოდ ნახევარი. მათს რიცხვში იყო ჩვენი სამმართველოც, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 210000 ერთჯერადი და 25000 ორჯერადი ბილეთის ნაცვლად მიიღო შესაბამისად 140000 და 7000 ბარათი.

როგორც სპორტული ლატარიების მთავარი სამმართველოდან გვაცნობეს, ფაბრიკაში მიღებულია ზომები, რომ მდგომარეობა უკვე 1973 წლის დეკემბრისთვის გამოსწორდეს.

რაც შეეხება „სპორტლოტოს“ ბილეთების დახლს ქვემოდან და სპეკულაციურ ფასებში გაყიდვას, სამმართველომ ამ მხრივაც მიიღო გარკვეული ზომები. სამმართველოს მუშაკებმა ბევრჯერ ჩაატარეს ბილეთების გამავრცელებელთა კრებები, სადაც ამ საკითხზე იყო ლაპარაკი. გამავრცელებლები გავაფრთხილეთ, რომ მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში მკაცრად დაისჯებოდნენ. კომისიები, რომლებშიც შედიოდნენ სამმართველოს მუშაკები, სახალხო კონტროლისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ატარებდნენ რეიდებს ასეთ დარღვევათა ფაქტების გამოსავლენად. ყველა შემოსულ სიგნალს ჩვენი ოპერატიული და რადიკალური ღონისძიებები მოსდევს. მაგალითად, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის“ მუშაკებისგან მივიღეთ საჩივარი „სოიუზპეჩატის“ 128-ე ჯიხურის მუშაკებზე (ეს ჯიხური მეტროს სადგურ „მარჯანიშვილის მოედანთან“ მდებარეობს). ჩვენ ბევრჯერ შევამოწმეთ იქ მდგომარეობა, მაგრამ ბილეთების დახლს ქვემოდან ან სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის ფაქტები არ დადასტურდა. მიუხედავად ამისა, სამმართველომ ბილეთების გაყიდვის უფლება ჩამოართვა ამ ჯიხურში მომუშავე გამავრცელებლებს სხვა მიზეზების გამო. თბილისის სტუდქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ჯიხურშიც ბარათების გადამალვისთვის გამავრცელებელს ჩამოერთვა „სპორტლოტოს“ ბილეთებით ვაჭრობის უფლება. ასევე დაისაჯა საზოგადოებრივი გამავრცელებელი პ. ხაჩატურიანი: როცა გაყიდვა უნდა დაეწყო, 1000 ის მაგიერ მას 418 ბილეთი აღმოაჩნდა. დანარჩენი თავის მეზობლებში გაუვრცელებია.

ახლახან ისევ ჩატარდა „სპორტლოტოს“ ბილეთების გამავრცელებელთა კრება. სამმართველოს ხელმძღვანელობამ იქ კიდევ ერთხელ მკაცრად გააფრთხილა ყველა, რომ ბილეთების რეალიზაციაში ყოველგვარი დარღვევა გამორიცხული უნდა იყოს. იქვე დადგინდა რეალიზაციის დაწყების ვადები: „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში — თვის 10, 20 და 30 რიცხვებში, დილის 8 საათიდან, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან — იმავე დღეებში, დილის 10 საათიდან.

ანალოგიურ მუშაობას ეწევიან „სპორტლოტოს“ სააგენტოების ინსტრუქტორები რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

სამმართველოს შესაძლებლობები საშუალებას გვაძლევს ყოველ ტირაჟში დავამუშაოთ არა უმეტეს 300000 ბილეთისა. მიუხედავად რთული პირობებისა, ცალკეული ტირაჟების დროს ეს ბილეთები იყიდებოდა, მაგრამ შემდეგში, როცა შეიქმნება საშუალება, რომ სისტემატურად ამდენი ბილეთი მივიღოთ, აუცილებელია ვიფიქროთ ან გაფართოებაზე, ან ახალი შესაფერისი შენობის გამოყოფაზე.

სპორტულმა ლატარიამ ჩვენს რესპუბლიკაში თავისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზეც დიდი წვლილი შეიტანა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალური ბაზის განმტკიცებაში. საქართველოს სპორტკომიტეტმა „სპორტლოტოსგან“ უკვე მიიღო 1.929.100 მანეთი რესპუბლიკის სპორტული ბაზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისთვის.

ამ ხნის მანძილზე სპორტული ლატარიის 281222 მონაწილეს მოგების სახით მიეცა 1.944.244 მანეთი.

ამგვარად, თამაშის დევიზი — „იგებთ თქვენ, იგებს სპორტი“ — ჩვენს რესპუბლიკაში სავსებით გამართლებულია.

„სპორტლოტოს“ გულშემატკივრებსა და მოყვარულებს გული არ უნდა გაუტეხოს დროებითმა გართულებებმა, რისი მიზეზიც ლატარიის ბილეთების ნაკლები რაოდენობით მიღებაა.

გ. ზარდიაშვილი,
„სპორტლოტოს“ საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი.

მამაცთა სპორტი. ბ. კამენსკის ფოტოეტიუდი.

რაიონებში [illegible]

ჩოხატაური

სოფელ ერკეთის საშუალო სკოლაში გაიმართა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში და ჭადრაკში. მაგიდის ჩოგბურთში ვაჟებთა შორის პირველობა მოიხვეჭა მე-9 კლასის მოსწავლემ გ. მინდაძემ, ხოლო გოგონებში გამარჯვება იზეიმა ამავე კლასის მოსწავლემ ნ. კალანდაძემ. მოჭადრაკე ვაჟებში ყველას აჯობა მეათეკლასელმა რ. კალანდაძემ, გოგონებში — მეცხრეკლასელმა ნ. კალანდაძემ.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).

მეთექვსმეტედ!

საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეთა ყოველ შეხვედრას ჭადრაკის სამყაროში დიდი ექო მოჰყვება ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ ორივე ქვეყანას ძალიან ძლიერი დიდოსტატები და ოსტატები ჰყავს. მათი პაექრობა საჭადრაკო ოლიმპიადებში, ევროპისა და მსოფლიო პირველობებში, საერთაშორისო ტურნირებში სპორტულად მუდამ მძაფრი და საინტერესოა.

1956 წლიდან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა შორის დამკვიდრდა მეგობრობის მატჩები, რომლებშიც შემოქმედებითი ინტერესები ჭარბობს. ტრადიციად იქცა მეტოქეთა თითქმის ყოველწლიური შეხვედრები, ერთხელ — იუგოსლავიაში, მეორედ — საბჭოთა კავშირში.

აი, ეს მატჩებიც (მოგვყავს ყოველი შეხვედრის წელი, ადგილი, ანგარიში; ყველა შეხვედრა საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს):

I. 1956 წ. — ბელგრადი—38:26.
II. 1957 წ. — ლენინგრადი — 42:22.
III. 1958 წ. — ზაგრები — 19,5:12,5.
IV. 1959 წ. — კიევი—24,5:15,5.
V. 1961 წ. — ბელგრადი — 31,5:28,5.
VI. 1962 წ. — ლვოვი — 37:23.
VII. 1963 წ.—რიეკა—35,5:24,5.
VIII. 1964 წ. — ლენინგრადი — 38,5:21,5.
IX. 1965 წ. — ვრნიაჩკა-ბანია — 38:22.
X. 1966 წ.—სოხუმი—37,5:22,5.
XI. 1967 წ. — ბუდვა — 43,5:28,5.
XII. 1968 წ.—სოჭი—30,5:17,5.
XIII. 1969 წ. — სკოპლე — 22:18.
XIV. 1971 წ. — ერევანი — 35:19.
XV. 1972 წ. — ოხრიდი — 26,5:13,5.

მეგობრულმა მატჩებმა თავიდანვე შემოქმედებითი ძიებისა და წვრთნის ხასიათი მიიღო. ამიტომ 1959 წლიდან გუნდების შემადგენლობაში გამოჩნდნენ მოჭადრაკე ქალები, 1961 წლიდან — ჭაბუკები. წლევანდელ ბრძოლაში მოჭადრაკე გოგონებიც ჩაებმებიან.

ორგანიზატორებმა შეხვედრების სხვადასხვა სისტემა მოსინჯეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დაადგინეს, რომელს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა დ. მაროვიჩმა თქვა: „ეს მატჩები სასარგებლოა განსაკუთრებით ჩვენთვის. ჩვენ მეტს ვსწავლობთ, ვიდრე ვასწავლით. ოღონდ საჭიროა შეიცვალოს შეჯიბრებათა გამართვის სისტემა, რათა ბრძოლა სპორტულად უფრო საინტერესო იყოს. მიზანშეწონილად მიმაჩნია დავუბრუნდეთ ოთხწრიან მატჩებს თითოეულ დაფაზე. რა სისტემაც უნდა ავირჩიოთ, როგორც უნდა დამთავრდეს მატჩი, ჩვენი შეხვედრები დიდად სასარგებლოა: ეს მატჩები ხელს უწყობს ორი ქვეყნის მოჭადრაკეთა ურთიერთობის გაღრმავებას და მეგობრობის განმტკიცებას".

მართლაც, მეგობრობის მატჩებში თითქმის ყველა ცნობილ საბჭოთა და იუგოსლაველ მოჭადრაკეს მიუღია მონაწილეობა.

— ეს მატჩები ძალიან სასარგებლოა. ამ შეჯიბრების დროს შეიძლება ექსპერიმენტების ჩატარება, სადებიუტო რეპერტუარის დამუშავება. ამ თვალსაზრისით მატჩებს კარგად იყენებენ იუგოსლაველები, რომლებიც, ჩემი აზრით, შეჯიბრების სპორტულ მხარეს ჩვენზე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ, — თქვა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ.

ამ ტრადიციულ მატჩებში საქართველოს წარმომადგენლებსაც უთამაშიათ. 1959 წლის შეხვედრა საერთაშორისო სარბიელზე დებიუტი იყო ნ. გაფრინდაშვილისთვის, რომელიც გამოჩენილ ოსტატს ვ. ნედელკოვიჩს ეთამაშა. ნონას მერეც მიუღია მონაწილეობა იუგოსლაველებთან შეხვედრებში. ამ მატჩების მონაწილენი ყოფილან აგრეთვე ნ. ალექსანდრია, ბ. გურგენიძე და თამაზ გიორგაძე (ჭაბუკთა დაფაზე).

და აი, დღეს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გაიხსნება სსრ კავშირ — იუგოსლავიის მოჭადრაკეთა XVI ტრადიციული მატჩი. ორგანიზატორებმა მოიწონეს დ. მაროვიჩის წინადადება და მეტოქენი მინი-მატჩებს გაითამაშებენ. თითოეულში ოთხი პარტია შედგება.

თითოეულ გუნდში იქნება 12 მოჭადრაკე — 6 ვაჟი, 2 ქალი, 3 ჭაბუკი და 1 გოგონა.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში მიწვეული არიან: დიდოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი, ე. გელერი, ე. ვასიუკოვი (სამივე — მოსკოვი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), რ. ვაგანიანი (ერევანი), ე. გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები — რ. ჯინჯიხაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი (სამივე — თბილისი), სსრ კავშირის ჩემპიონი მ. შული (ლვოვი), ოსტატები ა. პანჩენკო (ჩელიაბინსკი), ა. მიხალჩიშინი (ლვოვი), ა. მაჩულსკი (ხარკოვი) და ოსტატობის კანდიდატი მ. ჩიბურდანიძე (თბილისი).

იუგოსლაველი მოჭადრაკეები დღეს გვეწვევიან. მათ შორის იქნებიან საქვეყნოდ სახელგანთქმული დიდოსტატები ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ბ. პარმა, მ. მატულოვიჩი, ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი ს. მარიანოვიჩი, საერთაშორისო ოსტატი ქალები: ჰ. კონარკოვსკა-სოკოლოვა, ლ. ქივკოვიჩი და სხვები.

თ. გიორგაძე.

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37).

სსრ კავშირი — იუგოსლავიის მოჭადრაკეთა მატჩის განრიგი

28 ნოემბერი — გახსნა
29 ნოემბერი — I ტური
30 ნოემბერი — II ტური
1 დეკემბერი — გადადებული პარტიების დამთავრება
2 დეკემბერი — III ტური
3 დეკემბერი — IV ტური
4 დეკემბერი — გადადებული პარტიების დამთავრება და დახურვა.

ტურებისა და გადადებული პარტიების დამთავრების დასაწყისი 16 ს.

საბჭოთა სპორტსმენები საზღვარგარეთ

ჰანოი. დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელებმა, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ ლიბანიდან, ითამაშეს ვიეტნამის საპორტო ქალაქ ჰაიფონის გუნდთან და ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

პარიზი. კიშინიოვის „ნისტრუმ" დაამთავრა თავისი ტურნე საფრანგეთის ქალაქებში. კიშინიოველებმა მოუგეს საფრანგეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშათა ფედერაციის გუნდს — 8:3, რის შემდეგ ფრედ ითამაშეს ქ. რუანის საკლუბო გუნდთან — 1:1.

შესარჩევი მატჩი

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩი გაიმართა აფრიკის ზონაში. მაროკოს ფეხბურთელებმა შინ მიიღეს ზამბიის ნაკრები და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

ახლა აქ ლიდერობენ ზაირის ფეხბურთელები, რომლებსაც 4 ქულა აქვთ 2 ტურის შემდეგ. 2-2 ქულა დააგროვეს მაროკოსა და ზამბიის გუნდებმა, მაგრამ მაროკოელებმა 2 მატჩში, ხოლო ზამბიელებმა — 4 ტურის შემდეგ. ყველაფერს გადაწყვეტს 2 დარჩენილი შეხვედრა ზაირისა და მაროკოს გუნდებს შორის.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

● სსრ კავშირის 35 საფეხბურთო ჩემპიონატში სულ ჩატარებულია 7.530 მატჩი, გატანილია 20.253 გოლი.

● ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვთ მოსკოვის დინამოელებს — 1.787.

● საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში სულ 34 შემთხვევაა, რომ ფეხბურთელებს ერთ მატჩში 4 გოლი გაეტანოთ. წლეულს ეს შეძლეს მოსკოვის დინამოელმა ა. კოჟემიაკინმა და თბილისელმა გ. ნოდიამ.

● 265-ჯერ იქნა შესრულებული ე. წ. „ჰეტ-თრიკი" (3 ბურთი ერთ მატჩში), აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის მოსკოველ გ. ფედოტოვს, რომელმაც 10-ჯერ შეძლო ერთ მატჩში 3 ბურთის გატანა. თბილისელი ბ. პაიჭაძე 5 „ჰეტ-თრიკის" ავტორია.

● ერთ მატჩში 5 გოლის გატანა სსრ კავშირის ჩემპიონატებში შეძლო სულ 3 ფეხბურთელმა. 1938 წელს მოსკოვის „ბურევესტნიკთან" შეხვედრაში ეს გააკეთა ლენინგრადელმა სპარტაკელმა ე. შელაგინმა, 1966 წელს ერევნელებთან შეხვედრაში 5 გოლი გაიტანა თბილისელმა ი. დათუნაშვილმა და ხუთივე — მატჩის მეორე ნახევარში. 1968 წელს თბილისელმა გ. გავაშელმა ასევე 5 ბურთი გაიტანა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" კარში.

უ. მეტრეველი.

გორი.

● თბილისის „დინამოსა" და სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი მ. ხურცილავა ყველაზე უფრო შედეგიანი მცველია ჩვენს ფეხბურთში: მას გატანილი აქვს 14 გოლი. მართალია, სპარტაკელი გ. ლოგოფეტის (26 ბურთი), დონეცკელი ი. იარემჩენკოს (20), კიეველი ფ. მედვიდისა და ერევნელი ა. კოვალენკოს (19-19) მაჩვენებლები უკეთესია, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ყველანი ისინი ადრე კარგახანს ნახევარმცველებად თამაშობდნენ.

● თბილისის „დინამოს" ნახევარმცველმა მ. მაჩაიძემ წლევანდელ სეზონში გახსნა ანგარიში „ზარიასთან" და მანვე დახურა — ცსკა-სთან შეხვედრაში.

● ნახევარმცველმა ზ. ებრალიძემ, რაც იგი უმაღლეს ლიგაში გამოდის, წლეულს პირველად გაიტანა გოლი „დნეპრთან" შეხვედრაში და შემდეგ კიდევ ორჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

● თბილისელ ფეხბურთელთაგან გასვლით მატჩებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა დ. ყიფიანმა („ფახტაქორთან", კიევის „დინამოსთან" და მოსკოვის „დინამოსთან").

● დინამოელთა ცენტრფორვარდი გ. ნოდია ერთადერთი ფეხბურთელია, ვინც წლევანდელი ჩემპიონატის ბოლო 7 ტურში გაიტანა 8 გოლი, ე. ი. 1 ბურთზე მეტი ყოველ თამაშში.

რ. კოვზირიძე.

მონაწილეობდა 34 ქალაქის 62 მოჭადრაკე

მოჭადრაკე ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშებაში 34 ქალაქის 62 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

მონაწილეთა კლასიფიკაციური შემადგენლობა: 3 საერთაშორისო დიდოსტატი, 3 საერთაშორისო ოსტატი, 38 სპორტის ოსტატი, 18 ოსტატობის კანდიდატი.

გათამაშდა 248 პარტია, რომელთაგანაც 146 შედეგიანი იყო. თეთრებმა 87 პარტია მოიგეს, შავებმა — 59. ყაიმით დამთავრდა 102 პარტია.

გაიმართა 58 მინი-მატჩი (თითოეულში — 4 პარტია). 49 შემთხვევაში ერთ-ერთმა მეტოქემ გაიმარჯვა. 9 ორთაბრძოლა ყაიმით (2:2) დამთავრდა და ორ-ორი დამატებითი პარტია დაინიშნა. ამ შეხვედრებში კიდევ ხუთი „გამარჯვებული" გამოვლინდა. 4 დამატებითი მატჩი ყაიმით (1:1) დამთავრდა. ორ მათგანში „გამარჯვებული" გამოვლინდა წინა მატჩებში ქულების უკეთესი ჯამით, ორში კი — წილისყრით.

ოსტატებმა და ოსტატობის კანდიდატებმა ერთმანეთში 20 მატჩი ითამაშეს: ოსტატებმა 12 ბრძოლა მოიგეს, 8 წააგეს.

დიდოსტატები ოსტატებს 7 მატჩში შეხვდნენ და ოთხი მოიგეს, ორი წააგეს, ერთიც ყაიმით დაამთავრეს. სულ დიდოსტატთა და ოსტატებს შორის 26 პარტია გათამაშდა. 14:12 (6 მოგება, 16 ყაიმი, 4 წაგება) — ასეთია ამ შეხვედრების ანგარიში დიდოსტატთა სასარგებლოდ.

აღსანიშნავია, რომ ა. შმიტი (რიგა) იყო ერთადერთი მონაწილე, რომელსაც პარტია არ წაუგია (6 ყაიმი), მაგრამ იგი გათამაშებას მეორე ეტაპიდან გამოეთიშა.

გათამაშების მესამე ეტაპზე მხოლოდ ორი ოსტატობის კანდიდატი თამაშობდა, მეოთხეზე — არც ერთი.

ე. მელიქსეთბეგი,
ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების პასუხისმგებელი მდივანი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ამოცანა

ჯ. ჩიქოვანი (აბაშა)



შამათი სამ სვლაში.

თქვენ როგორ ამოხსენით?

ჩვენი გაზეთის 8 ნოემბრის ნომერში დასტამბული რ. თავარიანის (თბილისი) ამოცანის რეფლექსმამათის თემაზე სწორ პასუხს ვერავინ მიაგნო. ამოცანის ამოხსნაა 1. ჰg8.

„ლელოს" 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული მ. აზრუმელაშვილის (თბილისი) ამოცანა სწორად ამოხსნეს: დ. შიმშილაშვილმა (ონი), ტ. და ო. მამულაშვილებმა, ა. ვერხვიაშვილმა, რ. ნოზაძემ, ბ. მღვდლაძემ, ნ. კოკიელოვმა, რ. მარგალიტაძემ, მ. ოქროევმა (ყველა — თბილისი), რ. ჭალაგანიძემ (გეგეჭკორი), რ. კახიძემ (ხელვაჩაური, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი), რომელთა წერილები რედაქციამ ყველაზე ადრე მიიღო.

ამოხსნაა 1. ლa4.

მკითხველთა ინტერესი გამოიწვია აგრეთვე „ლელოს" 20 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი რ. მარგალიტაძის (თბილისი) ამოცანამ. იგი სწორად ამოხსნეს დ. შიმშილაშვილმა, ნ. კოკიელოვმა, ა. ვერხვიაშვილმა, ტ. და ო. მამულაშვილებმა, ვ. კახიძემ, ჯ. ბარამიძემ, ზ. ბიწაძემ, მ. ფხაკაძემ (სამივე — თბილისი).

ამოხსნაა 1. მd6.



ჭიდაობა ქართული...



...და კლასიკური.

ვ. კუციას ნახატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას წინათ უფაში დამთავრებულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატში დიდი წარმატება მოიპოვეს ტაშკენტელმა ე. საადიმ და ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა. მათ ყველა მეტოქე დაჯაბნეს და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა დაიმსახურეს.

• • •

სურათებზე: ე. საადი (მარცხნივ) და ნ. ანდრიანოვი.

ბ. კლიპინიცერის ფოტო.

უცხოეთის
ფეხბურთის
ფურცელი

დრონი მეფობენ...

იყო დრო, იუგოსლაველი ფეხბურთელი ჩაიკოვსკი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველაზე ძვირადღირებულ სპეციალისტად მიაჩნდათ.

ახლა დრო შეიცვალა, სოლიდურ კლუბებს არც კი სურთ ჩაიკოვსკისთან საქმის დაჭერა, მიაჩნიათ, რომ იგი, როგორც მწვრთნელი, უიმედოდ ჩამორჩა. ამას წინათ ჩაიკოვსკიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს სამოყვარულო კლუბ „ივ ნოისენბურგთან"... ორი თვით, თუმცა, ამბობენ, რომ ჩაიკოვსკის ერთხელ კიდევ გაუღიმებს ბედი: „ფკ კიოლნი" გამოეთხოვა თავის მწვრთნელს და აპირებს ჩაიკოვსკის ძველ დამსახურებათა გახსენებას.

● ●

პროცენტებით გამოხატული უკმაყოფილება

ინგლისის სპორტული პრესა კვლავ და კვლავ უბრუნდება მსოფლიო პირველობის შესარჩევ თამაშებში თავისი გუნდის წარუმატებლობის საკითხს. საყურადღებოა, რომ ინგლის-პოლონეთის გადამწყვეტი მატჩის წინ ლონდონში გამოკითხულ გულშემატკივართა 60 პროცენტი მოელოდა ინგლისელთა მარცხს (ან ფრეს), 90 პროცენტი მაშინვე მომხრე იყო რამსეის გადაყენებისა. გულშემატკივრების 61 პროცენტი მაშინ რამსეის ნაცვლად ბ. კლიფის („დერბი ქაუნთის" მაშინდელი მწვრთნელი, ახლა განთავისუფლებულია) მოწვევას მოითხოვდა, 10 პროცენტი კი — რამსეის შეცვლას დ. რივით („ლიდს იუნაიტედის" მწვრთნელი).

● ●

სამშობლოში უხმობენ

ჰოლანდიელი მიმომხილველები ძალიან აქებენ მარცხენა გარემარბს რენსენბრინკს. „ამ ფეხბურთელს ნაკრებიც არ დაიწუნებდა" — ამბობს ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი ფ. ფედრონცი. „აიაქსი" სიამოვნებით მიიწვევდა რენსენბრინკს" — აცხადებს ამსტერდამის კლუბის ხელმძღვანელობა.

მაგრამ ეს მიწვევა იოლი ამბავი არ გახლავთ. მარცხენა გარემარბი, თუმცა კი წარმოშობით ჰოლანდიელია, ბრიუსელის „ანდერლეხტში" თამაშობს და მისი მთავარი ბომბარდირიცაა.

● ●

„დერბი ქაუნთი" უკმაყოფილოა

„დერბი ქაუნთი", რომელიც შარშან ინგლისის ჩემპიონი იყო, ახლა შედარებით უფერულად თამაშობს. ჯოხი, როგორც ყოველთვის, მწვრთნელზე გადატყდა და ბ. კლიფი, რომელიც ცამდე აიყვანეს შარშანდელი ტრიუმფის დროს, გადადგა. მის ნაცვლად გუნდის მენაჯერად დანიშნულია დ. მაკკეი, შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი.

გამოიწერეთ
ლელო
1974

მოგაგონებთ, რომ გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლელოზე" 1974 წლისთვის.

ხელმოწერა **შეუზღუდავია** და მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.

ერთი კარგი ღონისძიების ჩრდილნათელი

ბევრი პრიზი აქვს დაწესებული წალენჯიხის სპორტსკოლას (დირექტორი თ. ლუკავა). ახლახან ამ სკოლამ კიდევ ერთი ახალი გარდამავალი თასი დააწესა: კომბინირებულ ამანათრბენში გამარჯვებული გუნდისთვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამანათრბენში მონაწილეობდა რაიონის ათი საშუალო სკოლის 60 მოსწავლე. ექვს ეტაპად დაყოფილი დისტანცია 3000 მეტრს შეადგენდა.

თავიდანვე დაწინაურდა წალენჯიხის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივი, რომელსაც შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ობუჯის, ქვედა მაზანდარის, წალენჯიხის (1-ლი) საშუალო სკოლების გუნდები, მაგრამ მე-2 სკოლის წარმომადგენლები უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ. მათ ქალაქის რკალი განვლეს 8 წუთსა და 31 წამში და პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. II ადგილზე გავიდნენ ობუჯის საშუალო სკოლის, ხოლო III — ქვედა მაზანდარის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა. მონაწილეებმა გამოავლინეს სწრაფვა გამარჯვებისკენ, მაგრამ იყო ჩრდილოვანი მხარეებიც. ასპარეზობას რატომღაც თავი აარიდეს ლიის, მედანის, ჯგალის, მუჟავას, ჯვარის მე-2 საშუალო სკოლებმა. საჩინოს და ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლების გუნდები დაგვიანებით გამოცხადდნენ, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნენ.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ზემოთ დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები და ფიზაღზრდის მასწავლებლები?

ო. სალია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჟაფარიძე.

3-4 დეკემბერს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართება სტატისტიკური ანგარიშგება-აღრიცხვიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და განათლების დარგში მომუშავე მუშაკები.

რესპუბლიკური თათბირ-სემინარი გაიხსნება 3 დეკემბერს დღის 12 საათზე.

ყველა პრიზიორი

გაგაცნობთ კრივში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის პრიზიორებს.

პირველი უმსუბუქესი წონა. 1. ს. დურიანი (ერევანი), 2. ე. იუდინი (კუიბიშევი), 3. ა. კლიუევი (კრასნოდარი) და ა. ტკაჩენკო (დონეცკი);

მეორე უმსუბუქესი. 1. ვ. ლიტვინოვი (კრასნოდარი), 2. ბ. ნადიროვი (მოსკოვი), 3. ლ. ბუგაევსკი (ოდესა) და ვ. სტრელნიკოვი (მოსკოვი);

მჩატე. 1. დ. ტოროსიანი (ერევანი), 2. ვ. პიოტკოვსკი (კიევი), 3. ბ. ზორიკტუევი (მოსკოვი) და ე. ტიმოფეევი (ხაბაროვსკი);

ქვემსუბუქი. 1. ვ. სოკოლოვი (ჩებოქსარი), 2. ა. ავეტისიანი (ერევანი), 3. ვ. გრიდნიოვი (ორსკი) და ა. ვოლკოვი (მოსკოვი);

მსუბუქი. 1. ვ. ხარჩენკო (ჟდანოვი), 2. ვ. ლვოვი (ჩებოქსარი), 3. ბ. მინიკაევი (კუიბიშევი) და ა. ნიკიტენკო (ლვოვი);

პირველი ქვესაშუალო. 1. ა. კამნევი (მოსკოვი), 2. ვ. როზენბაუმი (ორენბურგი), 3. ვ. ზოლოტარიოვი (კიევი) და ა. სამოილოვი (მოსკოვი);

მეორე ქვესაშუალო. 1. ვ. უდოვიკი (ვოლგოგრადი), 2. ვ. იუდინი (ფერგანა), 3. ვ. ბოდნია (აშხაბადი) და ო. ლიფანოვი (კიევი);

პირველი საშუალო. 1. ა. შიპილოვი (მოსკოვი), 2. ლ. შაპოშნიკოვი (ლვოვი), 3. ო. ტოლკოვი (კიევი) და ბ. ოპუკი (ლენინგრადი);

მეორე საშუალო. 1. ა. კლიმანოვი (ჟდანოვი), 2. რ. რისკიევი (ტაშკენტი), 3. ი. იუციავიჩიუსი (კაუნასი) და ა. კურიკოვი (პეტროზავოდსკი);

ქვემძიმე: 1. ო. კოროტაევი (მოსკოვი), 2. გ. ოჩულინი (გორკი), 3. ნ. ანოიმოვი (სამარყანდი) და ი. ბისტროვი (მოსკოვი);

მძიმე: 1. ე. გორსტკოვი (ორსკი), 2. ბ. ზაევი (ლიპეცკი), 3. ნ. აქსიონოვი (სევერო-დვინსკი) და ტ. გაჯიევი (ლვოვი).

რეკორდი ასე „იზრდებოდა"

სულ ახლახან, ოქტომბრის დამდეგს, ლენინგრადელმა ნადეჟდა ჩიჟოვამ, მიუნხენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ბირთვის კვრაში მსოფლიო რეკორდის ალამი 21,45 მეტრს იქით „გადასწია". მძლეოსნობის ამ სახეობაში ქალთა პირველი მსოფლიო რეკორდი მსაჯებმა 1920 წლის 10 ივნისს აღნიშნეს, მაშინ ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა მარია მეჟლიკოვამ 4-კილოგრამიანი თუჯის „ბურთი" 8,32 მეტრზე ჰკრა. მაშ ასე, 53 წლის მანძილზე რეკორდი 13 მეტრითა და 13 სანტიმეტრით გაიზარდა. ეს მიღწევა 54-ჯერ შეიცვალა. მას ყველაზე მეტი მზრუნველობით „ზრდიდა" ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი, ლენინგრადელი გ. ზიბინა, რომელმაც 14-ჯერ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

(საქდესის კორ.).



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14 უე 12945